პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ხუთშაბათი 12 აპრილი № 85 (17430) ფასი 2 კაპ.



სურათზე: „სოიუზ-33“ კოსმოსური ხომალდის საერთაშორისო ეკიპაჟი — ხომალდის მეთაური, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ნ. რუკავიშნიკოვი და კოსმონავტი მკვლევარი, ბულგარეთის „სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე გ. ივანოვი. საკდესა-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲐᲮᲐᲚᲘ კონსტიტუციური...

კონსტიტუციური საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა...

ერთი წელიწადი...

აბა გავხედოთ ამ ერთს — კონსტიტუციურს, ისტორიის საზომით დროის უმცირეს მონაკვეთს, მაგრამ ნათელი მიზნით შეკავშირებული და დარაზმული ხალხის გმირული შრომით სახელოვნად თავდადგმულს.

აბა გავხედოთ და დავრწმუნდებით, რომ რესპუბლიკის მშრომელ მოქალაქეთა რუდუნება და მონდომება, მუხლჩაუხრელობა და Ეკლავმოუღლელობა გამოხატულება იყო იმ პატრიოტული მისწრაფებისა, რომ ხორცი შეესხას შარშანდელი აპრილის ღირსსახსოვარი დღეების მოწოდებას:

— იყავ ერთგული შენი პარტიისა, დიადი ლენინური პარტიისა, იყავ ერთგული უძლეველი საბჭოთა ქვეყნისა, მისი კონსტიტუციისა, რომელიც ფუძეა ყველა ხალხის, ყველა რესპუბლიკის კეთილდღეობისა, იმცდელე რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური, მეცნიერული და კულტურული აღმავლობისათვის, იყავ ერთგული შენი საქმისა და ამით ამრავლე საქართველოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, ასახელე სამშობლო შენი!...

არცთუ დიდი ხნის წინათ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იზეიმა პირველი წლისთავი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისა, რომელიც საფუძვლად დაედო მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებს. საქართველოს მშრომელმა ხალხმა თავისი გულმხურვალე დამოკიდებულება ჩვენი ცხოვრების ამ ძირითადი კანონისადმი იმითაც გამოხატა, რომ ოცი ათასზე მეტი წინადადება შეიტანა მისი განხილვის ᲣᲐᲛᲘ.

და აი ახლა საქართველოს ახალი კონსტიტუციის წლისთავია...

მაშ, ვეზიაროთ ციფრისა და ფაქტის ᲣᲠᲧᲔᲒ ლოგიკას, გავაანალიზოთ ღვაწლი, მონაგარი ამ ერთი წელიწადისა და მაშინ კანონიერი სიამაყით ვიტყვით, რომ დაძლეულია ბევრი სიძნელე, რომ თვალად-საჩენი და იმედნეულია შედეგი, რომ საქართველოს მშრომელებმა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზრიანი ხელმძღვანელობით ფეხს აუჩქარეს იმ კონკრეტულ ამოცანათა გადაწყვეტის გზაზე, სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებმა რომ დაგვისახეს.

ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებიდან თუ ველ-მინდვრებიდან, სამშენებლო მოედნებიდან თუ სამეცნიერო ლაბორატორიებიდან დღენიადაგ მოდის ახალ-ახალი გულგასახარი ამბები გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების თაობაზე. ამასთანავე ეს პატაკები გამსჭვალულია მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობით, იმ დიდი წადილით, რომ დღეს უფრო უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ ვმუშაობდით, რათა ხვალ გაცილებით უკეთესად ვიცხოვროთ, ვიდრე დღეს ვცხოვრობთ.

მართლაცდა ფეხბედნიერი გამოდგა საქართველოს ახალი კონსტიტუცია. გონების უტყუარი ოვალი კარგად ამჩნევს და კარგად ხედავს რამოდენა აღმართი ამოვიარეთ ამ ერთი კარგი წელიწადის სამას სამოცდახუთ დღეში, და ეს დღეები თითქოს თავისებურ სამას სამოცდახუთ საფეხურად იქცა!

მაინც რას უნდა ვუმადლოდეთ ამ ერთ წელიწადად სახელდებულ დროს? რა მატერიალური და სულიერი მოსავლის ხვავთან დაგვაყენა მან?

აი სულ ახლახან შეჯამდა 1978 წლის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და ჩვენი ხალხის მიერ გაწეული გმირული შრომის გვირგვინად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც პირველად ან მეორედ კი არა, ზედიზედ მეექვსედ მოვიპოვეთ. ნუ მოვერიდებით ამ დროშის ეგრეთწოდებულ ეკონომიკის ენაზე გადაყვანას ანუ ციფრისა თუ პროცენტის ხსენებას, საქმის საზომად ციფრიან სიტყვას დიახაც მეტი დაეჯერება.

ხოლო ციფრები კი აი რას მეტყველებენ:

...მრეწველობაში წარმოების მატების ტემპმა 7,4 პროცენტი შეადგინა, შრომის ნაყოფიერება 5,6 პროცენტით გაიზარდა და ამ მხრივ რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე გამოვიდა.

ხარისხის სახელმწიფო ნიშანი ამ ხნის განმავლობაში მიენიჭა საქართველოს მრეწველობის 900 სახეობის ნაწარმს, დღეს კი სპეციალ ხუთკუთხედით აღნიშნულ ნაწარმთა რიცხვი 1682.

პირველად მრავალი წლის მანძილზე ძირითადი ფონდების ამოქმედებამ კაპიტალურ დაბანდებებს 320 მილიონი მანეთით გადააჭარბა. ეს 1978 წლის განმასხვავებელი თავისებურება გახლავთ.

მწყობრში ჩადგა სკკპ XXV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული ენგურჰესის სამი აგრეგატი, რომელთა საერთო სიმძლავრე 780 ათასი კილოვატია.

მრეწველობისა და მშენებლობის ხვედრითი წონა წარმოებულ ეროვნულ შემოსავალში მეათე-ხუთწლედის მესამე წელს მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა. ეს მიჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის.

სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებამ 2,7 მილიარდ მანეთის გადააჭარბა. ასეთი მაჩვენებლისათვის არასოდეს მიუღწევია რესპუბლიკის მრეწველობას.

აშენდა თითქმის 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის შედეგად სახბინაო პირობები გაუუმჯობესდა 24 ათასამდე ოჯახს.

...საერთო ნადურში ჩვენი სოფლის ხმაც ამაყად ეღერდა. საქვეყნო საქმეში არავის ტოლი არ დაუდეს გუნონსდედებმა და მეზვრეებმა, მეჩაიეებმა და ღამის მეხრეებმა. არ დაუდეს და... 370.000 ტონის ნაცვლად 430.000 ტონა ჩაის ფოთოლი დამზადდა, რითაც მეათე ხუთწლედის ბოლო წლისათვის დასახულ მიჯნას დიდად გადავამეტეთ, 510.000 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 575.000 ტონა უურძენი. ჩვენმა მევენახეებმა სწორედ საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების პირველ წელს გადალახეს პირველად ნახევარმილიონიანი ზღუდე. დიდი გადამეტებით შესრულდა ციტრუსის, მარცვლეულის, კარტოფილის, რძის, კვერცხის დამზადების სახელმწიფო დავალებები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 1978 წელს 2.000,7 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც 34,4 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედის საშუალო წლიურ წარმოებას. 1977 წელთან შედარებით პროდუქტების წარმოება გაიზარდა: რძისა 5,1 პროცენტით, კვერცხისა 9,1 პროცენტით, მატყლისა 8,8 პროცენტით. ხორცის წარმოებაც გაიზარდა 1,8 პროცენტით; მაგრამ არც ის არის დასამალი, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებანი მეცხოველეობის პროდუქტებზე ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება. ახლა მთავარია გავაორკეცოთ ხორცის წარმოების მატება და უველაფერი ვიღონოთ, რომ საქართველო გახდეს მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა!

...სახალხო მეურნეობის, ცხოვრების წინსვლის სამსახურში ჩვენი ქართული საბჭოთა მეცნიერება.

რესპუბლიკაში მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა ეროვნული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, ეთნოგრაფიისა, ფილოლოგიისა, ენათმეცნიერებისა, ფოლკლორისა, ხელოვნებისა, ფილოსოფიისა, ეკონომიკისა, ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზისა, ფიზიკისა, ქიმიისა, ბიოლოგიისა, ბიოქიმიისა, ბიოფიზიკისა, ბიოორგანული ქიმიისა, ბიოტექნოლოგიისა, ბიოლოგიური ფიზიკისა, ბიოლოგიური ინჟინერიისა, ბიოლოგიური კიბერნეტიკისა, ბიოლოგიური ინფორმაციის, ბიოლოგიური ფიზიკოქიმიისა, ბიოლოგიური ეკოლოგიისა, ბიოლოგიური ეკონომიკისა, ბიოლოგიური ინფორმაციულ-ინფორმაციული ანალიზ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

წარმატებები შთაგვაგონებს, ამოცანები გვავალებს

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის შესრულების პირველი კვარტლის შედეგები და საგეგმო-სამეურნეო დისციპლინის საკითხები.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჭითანავამ, მეორე საკითხზე — რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ვ. სანთელაძემ.

გაწეული მუშაობისა და მომავლის გეგმების შესახებ ინფორმაციები გააკეთეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ჯ. უბილავამ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. გ. უნგიაძემ, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. ი. მარდანოვმა, საქართველოს სსრ კავების მრეწველობის მინისტრმა რ. ჰ. კონცელიძემ, რესპუბლიკის საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრმა ო. ი. ლოლაშვილმა, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. დ. რუხაძემ, გაერთიანება „საქთვეზმრეწვის" უფროსმა ო. გ. აბესაძემ, თბილისის საწარმოო ჩარხმშენებლობის გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა გ. შ. ჯიქიძემ.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარაძე.

სხდომის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

სხდომაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ა. კორობეინიკოვი.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გრძელდებოდა რესპუბლიკის ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი ზრდა. მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა 100,9 პროცენტით შეასრულა. უზრუნველყოფილია სამრეწველო წარმოების მოცულობის მატება 6,5 პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავთობის და ქვანახშირის მოპოვება, კოქსის, კაპროლაქტამის, აპრეშუმის ქსოვილების, წნდის, ზედა ტრიკოტაჟისა და ტრიკოტაჟის საცვლების, ხორცის, ძეხვეულის, ყურძნის ღვინისა და სხვა პროდუქციის წარმოება.

დამახასიათებელია, რომ წარმატებანი მიღწეულია სამრეწველო პროდუქციის საშუალო სადღეღამისო წარმოების გეგმაზომიერი ზრდის მეთხებით. ხაზგასმით აღინიშნა, რომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჯერ კიდევ არ ყოფილა საშუალო სადღეღამისო წარმოების ასეთი სწრაფი ტემპი. მთლიანი პროდუქციის მატების 81,5 პროცენტი, გასული წლის ამავე პერიოდის 71,4 პროცენტთან შედარებთ, მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წონამ მისი საერთო მოცულობის 18 პროცენტზე მეტი შეადგინა.

ამასთან ერთად სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებები. კვლავინდებურად ყველა რგოლში როდი იცავენ ჯეროვან საგეგმო, საწარმოო ლებით ილაპარაკეს სატრანსპორტო, საკაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ.

პირველი კვარტალის შედეგებმა დაადასტურა, რომ საგეგმო დისციპლინის განმტკიცების პრობლემა კვლავ ყველაზე სერიოზულია, იგი განსაკუთებულად კი არა, სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის ურთიერთკავშირით უნდა განვიხილოთ. საგეგმო დისციპლინის განუხრელი დაცვის მნიშვნელობა და აქტუალობა იმითაც ძლიერდება, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ვერ ასრულებს ხუთწლედის დავალებებს, მთელი რიგი საწარმოები და გაერთიანებები ვერ უზრუნველყოფენ მათთვის დადგენილი ცალკეულ სახეობათა პროდუქციის გამოშვების, შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდას.

რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრებაში მეტად პასუხსაგები პერიოდი დადგა. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სამინისტროები და უწყებები იწყებენ 1980 წლის გეგმის შემუშავებას. ამ გეგმის ხარისხობრივ დონეზე,იმაზე, თუ რამდენად სწორად და მიზანდასახულად იქნება გათვალისწინებული რესპუბლიკის სახალხო-მეურნეო ამოცანები და ინტერესები, ბევრად არის დამოკიდებული ხუთწლედის დავალებათა შესრულება და რესპუბლიკის მიერ სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიზნების მიღწევა.

მომწიფებული სოციალიზმის სტადიაზე საზოგადოებრივ შრომაში ხდება დიდი ძვრები — იცვლება მისი შინაარსი, პირობები და ხასიათი. შრომის დარგში გარდაქმნები განუყრელად არის დაკავშირებული წარმოების ეფექტიანობის შემდგომ ზრდასთან, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან. თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი შრომის სტრუქტურის შეცვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ნაკლებ კვალიფიციური და მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენების სფეროს, ხელით მომუშავე წარმოების მუშაკთა რიცხვის შემცირება.

უდიდესი სოციალური მნიშვნელობა ენიჭება მოწინავე ტექნიკით სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღჭურვის ღონისძიებათა ფართო კომპლექსის განხორციელებას. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, სამშენებლობისა და ტრანსპორტის ტექნიკური განახლება პარტიის მიაჩნია შრომის პირობების გაუმჯობესების გადამწყვეტ საშუალებად.

გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა, მაღალი საგეგმო და საწარმოო დისციპლინის სულისკვეთებით ყველა მუშაკის აღზრდა შეესაბამება თითოეული მშრომელის ინტერესებს, თითოეული პარტორგანიზაციის უპირველესი მოვალეობა და პირდაპირი პარტიული ვალია. სხდომაზე ითქვა, რომ ყველა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანომ მაქსიმალური ყურადღება უნდა დაუთმოს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებს, უფრო სრულად დაკმაყოფილოს ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, მთელი ძალ-ღონე მოახმაროს სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფას. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, მისთვის შემოქმედებითი ხასიათის მინიჭებას.

გერგილიანობა, პრაქტიკულობა ხელმძღვანელობის ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა. ამიტომ, ითქვა სხდომაზე, კრიტიკულად უნდა გავაანალიზოთ გაწეული საქმიანობა, ბოლომდე მივიყვანოთ თითოეული კონკრეტული საქმე, დასახულ მიზანს მივაღწიოთ უმოკლესი გზით, ძალების, სახსრებისა და დროის უმცირესი დანახარჯებით.

უახლოეს დროში ყველგან უნდა მოვაწყოთ გამოუყენებელი რეზერვების დათვალიერება, განვახორციელოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება. როცა ზრდის დამატებით რეზერვებს ვავლენთ, გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი სამეურნეო მშენებლობაში, ვიბრძოლოთ მომჭირნეობისა და ყირათიანობისათვის.

ჩვენი ხუთწლედები, ითქვა სხდომაზე, უბრალო სამეურნეო გეგმები კი არ არის, არამედ თითოეული მათგანი ახალი საფეხურია ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზაზე. საქართველოს მშრომელთა მიერ მიმდინარე ხუთწლედის განვლილ წლებში, 1979 წლის პირველ კვარტალში მოპოვებული წარმატებანი მნიშვნელოვანია, მაგრამ მომავლის ამოცანები გვავალებს არ შევჩერდეთ შრომის ტემპი, პირიქით, გავზარდოთ იგი. ამიტომ საჭიროა ყოველ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, წარმართოთ იგი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ყოველნაირი ამაღლებისათვის. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მილიონთა პატრიოტული მოძრაობა უნდა განვრცდეს საბჭოთა საზოგადოების არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური პროგრესის და ზნეობრივი აყვავების მძლავრი წყარო.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე ინფორმაციები სადღესასწაულო სამგზავრობისათვის მზადების შესახებ.

(საქინფორმი).

12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა

საბჭოთა ხალხი ზეიმობს ტრადიციულ კოსმონავტიკის დღეს. ზეიმობს ვარსკვლავეთა ქალაქიც. აპრილი უფლებამოსილებს ტყეში, ქალაქს რომ აკრავს, ჩიტები გალობენ. მსუბუქი ნიავი არხევს დროშებს კოსმონავტთა მომზადების ცენტრის შენობებზე, ალმებს — კოშკურა ამწეების ისრებზე. გაზაფხულის მზის სხივები აციაკროვნებს იური გაგარინის ბრინჯაოს ფიგურას პარკში, რომელიც კოსმოსის პირველმკვლევმა და მისმა მეგობრებმა გააშენეს. პარკში და მეგობრის ბრინჯაოს ძეგლთან მოდან ხალხმრავლობაა. დღეს განსაკუთრებით, რადგან კოსმონავტიკის დღესასწაული უდიდესი წარმატებებით აღინიშნება. დღესასწაულის წინ 10 აპრილს 20 საათსა და 34 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-33", რომელსაც პილოტობს საერთაშორისო ეკიპაჟი: ხომალდის მეთაური, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ნიკოლაზ რუკავიშნიკოვი და კოსმონავტი მკვლევარი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე გეორგი ივანოვი.

ამ ჯბალი ფრენის პროგრამაშია „სოიუზ-33" ხომალდის შეპირაპირება „სალიუტ-6"-„სოიუზ-32" ორბიტაზე კოსმონავტებთან ერთობლივი კვლევის და მასპერიმენტების ჩატარება კოსმონავტებთან ლიანდოვთან და რიუმინთან ერთად, რომლებიც უკვე ოვენახევარზე მეტია მუშაობენ დედამიწისირგვლივ ორბიტაზე.

ჯალი ინტერნაციონალური ეკიპაჟის გაფრენა კოსმოსში კიდევ უფრო დიდებულსა და საზეიმო-ტრიუმფალურს ხდის „კოსმონავტიკის დღეს", რომელსაც მთელი სოციალისტური ქვეყნები აღნიშნავენ.

სურათებზე: ზემოთ — სსრ კავშირის კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი პლაკატი. ქვემოდ — ვ. ციოლკოვსკის ძეგლი ქ. მოსკოვში.

ელჩის მიღება

11 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. გ. გელოშვილმა მიიღო დანიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში პოულ სტეენბერგი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა.

ს. გ. გელოშვილსა და პოულ სტეენბერგს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

საუბარს დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ფ. ვ. ლაშქარაშვილი, რეპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჰ. ა. ჯიპაშვილი. (საქინფორმი).

დათვალიერების შედეგები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწყობილმა ჩაის პლანტაციების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ ცხადყო: მეტმა წილმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე დაამთავრეს საგაზაფხულო სამუშაოების მთელი კომპლექსი. მწკრივთაშორისები დამუშავებულია 56,5 ათას ჰექტარ ფართობზე, გეგმით კი გათვალისწინებულია 58,7 ათასი ჰექტარი, ფოსფორიანი სასუქები შეტანილია 47,6 ათას ჰექტარ ფართობზე, გეგმით კი გათვალისწინებულია 48,1 ათასი ჰექტარი, კალიუმიანი სასუქები — 44,2 ათას ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებულია 46,6 ათასი ჰექტარი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ იყენებდნენ ბუჩქების სხვადასხვაგვარი სხვლის მონაცვლეობას, რამაც ხელი შეუწყო ჩაის ფოთლის უფრო თანაბარზომიერ განვითარებას. ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად მომზადებულია 595 ჰექტარი მიწა, შეკეთებულია 2,7 მილიონი მეტრი სადრენაჟო ქსელი.

მაგრამ პლანტაციების სიმეჩხერე აღმოფხვრილია მხოლოდ გათვალისწინებული ფართობის ნახევარზე. სიმეჩხერესთან ბრძოლის დავალება ვერ შეასრულეს სამტრედიის, ცხაკაიას, წალენჯიხის და ზუგდიდის რაიონებმა, ჭიათურისა და წყალტუბოს ზონების, აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების მეურნეობებმა.

ოჩამჩირის, გუდაუთის, აბაშისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მთელ რიგ მეურნეობებში არ შესრულებულა ბუჩქების მწკრივთაშორისების დამუშავების, მინერალური სასუქების შეტანის დავალებანი.

მომდინარე სეზონში მეურნეობებმა მეტი უყურადღება დაუთმეს ზამთრისა და საგაზაფხულო სამუშაოების მექანიზაციას. მაგალითად, მექანიზმებით დამუშავებულია მწკრივთაშორისები 18,6 ათას ჰექტარ ფართობზე, რაც 3 ათასი ჰექტარით აღემატება დასახულს. გადაჯარბებით შესრულდა აგრეთვე ნიადაგში მინერალური სასუქების მექანიზებული შეტანეს ბუჩქების შპალგრუნტი და მსუბუქ სხვლის დავალებანი.

აპლიკაციებში მუშაობისათვის მომზადებულია 846 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" და „ჩაი-900", მეჩაიეებს გადაეცათ ოთხი ათასზე მეტი ჩაის ხელით საკრეფი აპარატი, ორგანიზებულია 800-ზე მეტი მექანიზებული რგოლი.

წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა იკისრეს მაღალი ვალდებულება— მიესცენ ქვეყანას 536 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — რეკორდული რაოდენობა დარგის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე. ამიტომ საჭიროა მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საგაზაფხულო სამუშაოების კომპლექსის შესრულებას და უახლოეს დღეებში დავამთავროთ იგი, ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ზუსტად და შეუფერხებლად მუშაობდეს კონვეიერი პლანტაცია-ტრანსპორტი-ჩაის ფაბრიკა.

(საქინფორმი).

საბჭოთა კავშირ-იამაიკის მოლაპარაკება

10 აპრილს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება იამაიკის პრემიერ-მინისტრთან მაიკლ მენლისთან, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა.

მოლაპარაკების დროს, რომელიც საქმიან, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განხილეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-იამაიკის ურთიერთობის საკითხები. მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ აქტიურად ვითარდება ორი ქვეყნის მეგობრული და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბჭოთა კავშირ-იამაიკის ურთიერთობის სახელშეკრულებო საფუძველი იმის შედეგად, რომ ხელი მოაწერეს სამთავრობათშორისო შეთანხმებებს ვაჭრობის, ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის, საზღვაო ნაოსნობისა და საჰაერო მიმოსვლის შესახებ. ... მთელ რიგ საკითხებზე ... საერთაშორისო ... დიდი ... საბჭოთა მხვიდობის განმტკიცების, განიარაღების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხებს, აგრეთვე თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. მხარეებმა აღნიშნეს დიდი პოზიტიური წვლილი, რომელიც სოციალისტურ და მეუმხრობელ სახელმწიფოებს შეაქვთ ხალხთა ანტიიმპერიალისტურ, ანტიკოლონიურ ბრძოლაში, და დაადასტურეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც იბრძოლონ კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, განთავისუფლებული ქვეყნების სოციალური პროგრესის დაჩქარებისათვის.

(საკდესი).

რეაქციის ზრახვები ჩაიფუშა

ქაბული, 11 აპრილი. (საკდესის კორ.). ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო შეიარაღებული ამბოხება, რომელიც მარტის შუა რიცხვებში მოახდინეს ავღანეთის სიდიდით მეორე ქალაქ გერათში, გულდასმით დაგეგმეს საზღვარგარეთ სპეციალურად მომზადებულმა იმპერიალიზმისა და რეაქციის დაქირავებულებმა, რომლებიც ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფარულად შემოგზავნეს. ამბოხების ორგანიზატორები ეყრდნობოდნენ „მუსლიმანი ძმების" დაჯგუფების რეაქციონერებსა და ფანატიკოსებს, რომლის ძირითადი ბაზები პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარეობს, აგრეთვე ეყრდნობოდნენ არალეგალური პროპეკინული დაჯგუფების „ოლე ჯავიდის" მოოსტებს, რეოლუციის მიერ დამხობილ ფეოდალურ-მემამულურ ელემენტებს. ასეთი დასკვნა გამოიტანა გერათის ამბოხების მიზეზებისა და შედეგების კვლევის პარტიულ სახელმწიფო კომისიამ, რომელიც ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად შეიქმნა.

ამბოხების მეთაურები, რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო კონტრრევოლუციური ლოზუნგებით გამოდიოდნენ, ცდილობდნენ თავი გაეცალებინათ ისლამის „ქუმშარიტ მიმდევრებად", რომლებიც თითქოს „წმინდა რელიგიას ხელისუფალთა შებღალისაგან იცავდნენ", განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საბჭოში კომისიის თავმჯდომარემ, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციის საბჭოს წევრმა საფეჯ ფეირუზმა. სამი დღის მანძილზე გერათი ხოცვა-ყლეტის, ძარცვის, ხანძრების ასპარეზი იყო.

განიარაღების ფორუმზე

პარიზი, 10 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ორი დღის შეხვედრამ განიარაღების პრობლემებზე. „სსრ კავშირ-საფრანგეთისა" და „საფრანგეთ-სსრ კავშირის" საზოგადოებათა ინიციატივით შეხვედრის მონაწილენი— ორივე ქვეყნის პარლამენტის წევრები, მეცნიერები, სამხედროები და საზოგადოებრივი ორგანიზაციათა წარმომადგენლები — შეიკრიბნენ, რათა განიხილონ დაძაბულობის შენელების გზრდა, ომის თავიდან აცილების, სხვადასხვა სახელმწიფოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრობლემები.

გამოვიდა რა შეხვედრის გახსნაზე, საფრანგეთის ეროვნული კრების საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარემ ე. ფორმა ხაი გაუსვა, რომ საჭიროა იურიდიულად განმტკიცდეს ადამიანის უფლება განიარაღებასა და მშვიდობაზე.

შეხვედრის გახსნაზე გამოვიდა აგრეთვე „სსრ კავშირ-საფრანგეთის" საზოგადოების საპრეზიდენტო საბჭოს წევრი გ. ა. ეუკოვი.

„არჩევნები" სოფის სცენარით

ლუსაკა, 10 აპრილი. (საკდესი). დღეს როდეზიის ხელისუფალნი სასწრაფო წესით თამაშობენ „პარლამენტის არჩევნების" პოლიტიკურ საპეტაკულის პირველ აქტს. მასში მონაწილეობს მხოლოდ თეთრკანიანთა უმცირესობა, რომელმაც უნდა აირჩიოს ახალი „საკანონმდებლო ორგანოს" ოცი დეპუტატი. რვა დანარჩენ პარლამენტარს — რასისტული თემისაგან მოგვიანებით აირჩევს ეგრეთწოდებული სპეციალური კოლეგია. „არჩევნები" აფრიკელებისათვის, როგორც იტყვიან, დაიწყება 17 აპრილს და ხუთ დღეს გასტანს.

ამ 28 დეპუტატს, რომლებსაც „პარლამენტში" ასი დეპუტატიდან აქვთ ვეტოს უფლება, შეუძლიათ მთლიანად თავის კონტროლს დაუქვემდებარონ. იგი. სმიტის კონსტიტუციური გეგმის თანახმად, თეთრკანიანი უმცირესობის ხელში რჩება ძალაუფლების სხვა ბერკეტებიც — არმია, პოლიცია, სახელმწიფო აპარატი.

ხელისუფლებმა, რომლებსაც არა აქვთ თავისი ღონისძიების წარმატების იმედი, ამ დროისათვის გამოიყენეს 70 ათასამდე ჯარისკაცი, მათ შორის რეზერვისტები.

სპეცთაშორისი
ლეღამწის
ზურგზე
ცხოვრება

მოკლედ

ყოველი მხრიდან

11 აპრილი

ნიუ-იორკი. ამერიკის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია დამნაშავეობის უმაგალითო ზრდით. საზოგადოებრიობის ყველა ცდას—მიაღწიოს ამერიკის შეერთებულ შტატებში იარაღის უკონტროლო გაყიდვის აკრძალვას, წინააღმდეგობას უწევს იარაღის მრეწველობის ძლევამოსილი ლობი. პრეზიდენტის არჩევნების დროს კარტერმა განაცხადა, რომ წარადგენს კონგრესში კანონპროექტს, რომლითაც შემოღებულ იქნება იარაღის თავისუფლად ვაჭრობის შეზღუდვა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ამას წინათ განაცხადა, რომ კონგრესისათვის შესაბამისი კანონმდებლობის წარდგენის გეგმები აღარ არსებობს.

ამანი. მემარჯვენე ექსტრემისტული ორგანიზაცია „გუშ ემუნიმი" შეუდგა ახალი გასამხედროებული დასახლების მშენებლობას მდინარე იორდანის ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე ქალაქ ქებრონის რაიონში. „გუშ ემუნიმს" განზრახული აქვს დასავლეთ ნაპირზე ააშენოს კიდევ ცხრა დასახლება.

მიტაცებული არაბული ტერიტორიების „ათვისების" აქტივიზაცია მოწმობს, რომ ისრაელი არ აპირებს დაუბრუნოს არაბებს ოკუპირებული ტერიტორიები, არამედ ცდილობს სამუდამოდ დაამკვიდროს თავისი ყოფნა სხვის მიწებზე.

მაპუტუ. სამხრეთ აფრიკის პარლამენტის დასამტკიცებლად წარდგენილია შეხსორება კანონისა პოლიციის შესახებ. იგი ითვალისწინებს სპეციალური ჯგუფის შექმნას, რომელიც კონტროლს გაუწევს პრესის ცნობებს პოლიციის მოქმედების შესახებ. შეხსორების შესაბამისად პოლიციის მიერ დაუდასტურებელი ცნობის გამოქვეყნებას პრესის რომელიმე ორგანოში უნდა მოჰყვეს მისი ხელმძღვანელის 10 ათასი რანდით დაჯარიმება ან ხუთი წლის პატიმრობა.

ახალი შეხსორება, რომლის მიღების შესახებ „მტკიცე რწმენა" გამოთქვა იუსტიციის, პოლიციისა და ხაპატიმროების მინისტრმა პრიუგერმა, სავსებით გაუხსნის ხელს დამპყრელებს. ამიერიდან თითოეული პოლიციელი სრულიად აღარ შეეპუება კანონს.

მეხიკო. სანდინოს სახელობის ეროვნული „განთავისუფლების ფრონტის პატრიოტებმა გააკეთეს საბრძოლო მოქმედება ხომოსას პრისსისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ. აქ მიღებული ცნობებით, ქალაქ ესტელის გარდა მათ დაიკავეს ჩუკუპა, სალუსე და კონდეგა, აგრეთვე სხვა დასახლებული პუნქტები.

დამარცხებით გაფორებულმა დამსჯელებმა პარტიზანების მიერ დაკავებულ რაიონებს ბარბაროსულად დაუშინეს არტილერიის ცეცხლი და დაბომბეს. დანაშაულებრივი აქციების შედეგად, რომლებშიც გამოიყენეს ისრაელის წარმოების თვითმფრინავები, მთელი საცხოვრებელი უნაგები აღგვილია პირისაგან მიწისა. მშვიდობიან მოსახლეობაში დიდძალი მსხვერპლია.

12 აპრილს პირველი კომუნისტური შაბათობის მე-60 წლისთავია

ძლიერი და მშვენიერი გრძნობა

დროს არა აქვს საზომი... მაგრამ არის ისტორიაში დღეები, თარიღები, რომლებიც ადამიანების ცხოვრებაში რჩება, როგორც მარადიმს ანთებული შუქურა... ახალი, 1979 წელი მდიდარია იუბილეებით. 12 აპრილს 60 წელი სრულდება მოსკოვის სახარისხებელი დეპოს მუშების დიდი თოთსნობის — პირველი „კომუნისტური შაბათობის მოწყობიდან.

დღეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სწორედ ამის შესახებ გვესაუბრებიან პირველი შაბათობის მონაწილე ორგზის ლენინის ორდენოსანი, 1919 წლიდან პარტიის წევრი ვასილ მიხეილის ძე სიდელნიკოვი და კომუნისტური შრომის დამკვრელი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს დეპუტატი მიხეილ ალექსანდრეს ძე ტიმაკოვი.

ტიმაკოვი: ჩვენს მეხსიერებაში ძვირფასი თარიღები განსაკუთრებით არის გაცისკროვნებული. ვიცით, რომ 1979 წელი ბევრ სიხარულს მოგვიტანს. ვემზადებით საზეიმოდ აღვნიშნოთ დიადი თოთსნობის მე-60 და სოციალისტური შეჯიბრების მასობრივი განვითარების 50-ე წლისთავები. ეს ყველა ჩვენგანისათვის

ტიმაკოვი: ... ჩვენ ... ეს ... ეს ... ...

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ტრადიციული, საგაზაფხულო...

დღეს, 12 აპრილს იხსნება საგაზაფხულო ტრადიციული მხატვრის კვირეული, რომელიც 19 აპრილამდე გასტანს და წარმოადგენს რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატთა თავისებურ შემოქმედებით ანგარიშს. გაზაფხულიდან გაზაფხულამდე ქართველ მხატვართა შემოქმედებითი მიღწევებისა და კვირეულის მიმდინარეობის თაობაზე „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ნ. ჯანბერიძე.

— განვლილი ერთი წელი — თქვა ნ. ჯანბერიძემ, — ჩვენი შემოქმედებითი კავშირისათვის ფრიად ნაყოფიერი იყო. გამოჩნდა ქართველ მხატვართა წარმატებები არა მხოლოდ შემოქმედებითი თვალსაზრისით, არამედ მოქალაქეობრივი მრწამსის ეფექტურობის მხრივაც. ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა თავისებურად აისახა მხატვართა შემოქმედებაშიც, რასაც, უდავოდ, დიდად შეუწყო ხელი მხატვართა კავშირის ღონისძიებებმა. ეს იყო შრომითს კოლექტივებთან შეხვედრები, შემოქმედებითი მიღებებები თუ მრავალფეროვანი გამოფენები.

ნაყოფიერი იყო მხატვართა კავშირის პლენუმები ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიც არის ქართული მონუმენტური მხატვრობა და თეატრალური დეკორაციის განვითარების გზები.

ამ ერთი წლის მანძილზე თავისი სიტყვა თქვა ახალგაზრდობამაც. ისინი საინტერესოდ წარსდგნენ ლენინური კომკავშირისა და საბჭოთა არმიის იუბილეებისადმი მიძღვნილ გამოფენებზე, როგორც რესპუბლიკური, ისე საკავშირო მასშტაბით.

მხატვართა კავშირმა შეიმუშავა სპეციალური ციკლი გამოფენებისა „ხალხთა მეგობრობის“ თემაზე, რომლის მიხედვით მოეწყო როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მხატვართა საინტერესო ექსპოზიციები.

როგორც ყოველთვის, მხატვრის ახალგაზრდა კვირეულიც დიდ ინტერესს იწვევს. იგი იხსნება საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გაფართოებული პლენუმით, რომელიც თანამედროვე ქართული გრაფიკის პრობლემებს ეძღვნება. კვირეულის საინტერესოდ წარმართვისათვის მხატვართა კავშირმა შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც განზრახულია ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიხსნას აფხაზთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ქართველ მხატვართა გამოფენა გაიხსნება აგრეთვე გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობაში.

ბავშვთა საერთაშორისო წელს ჩვენი მხატვრებიც ეხმიანებიან. კვირეულის დღეებში ისინი ეწვევიან თბილისის სკოლებს, მიიწვევენ პატარებს თავიანთ სახელოსნოებში, ბავშვთა სურათების რესპუბლიკურ გალერეაში კი გაიხსნება ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

სამეულის — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების ო. ქოჩაკიძის, ა. სლოვინსკისა და ი. ჩიკვაიძის ხელოვნების თაყვანისმცემლებს უმასპინძლებს გაკ ამცემლობა „მერანის“ საგაზაფხულო დარბაზი. გაიხსნება აგრეთვე პერსონალური გამოფენები ლ. ცუცქირიძისა — ბათუმში, უ. ჯაფარიძისა — გაგეჩქორში, ნ. ფოფხაძისა — ხელოვნების მუზეუმთა სახლში, ბელგიური გრაფიკისა — ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. მოეწყობა გამოჩენილი თეატრალური მხატვრის ი. გამრეკელისა და ქ. მაღალაშვილის ხსოვნის საღამოები.

მშვენიერი საჩუქარი მიიღეს ქალაქ ცხაკაიას მშრომელებმა. ამ დღეებში იქ გაიხსნება სურათების ახალი გალერეა.

კვირეულთან დაკავშირებით გამოიცა ნიკო ფიროსმანის ორი ნამუშევრის რეპროდუქცია. მკითხველებმა მიიღეს ერთდროული გაზეთი „მხატვარი“, რომელშიც გაეცნობიან საინტერესო მასალებს, ქართველ მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციებს.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს კვირეული ბევრ საინტერესო მხატვრულ ნაწარმოებთან შეგვახვედრებს. და, რაც მთავარია, კიდევ ერთხელ დაადასტურებს, თუ როგორ სიყვარულით ეკიდებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები სახვითი ხელოვნების ოსტატებს.

საუბარი ჩაიწერა

რ. მუხიგულაშვილმა.

ქვირფასო მუხრან ივანეს ძევ!

გულითადად გილოცავთ თქვენ, გამოჩენილ ქართველ პოეტს, ღირსსახსოვარ თარიღს — დაბადების ორმოცდამეათე წლისთავს.

თითქმის ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები, მაგრამ ჩვენ კარგად გვახსოვს ლიტერატურული კრიტიკის აღფრთოვანებული გამოხმაურება, რომლითაც შეხვდნენ მაშინ თქვენს გამოჩენას ქართული პოეზიის სარბიელზე. აზრის სიახლით და ორიგინალობით გამორჩეული თქვენი ლექსები, რომლებსაც დიოსტატის ხელი ატყვია, ძალიან მალე საკავშირო მკითხველთა აუდიტორიის კუთვნილება გახდა. თქვენი ნაწარმოებებით თქვენ საბჭოთა ადამიანის მაღალი იდეალისათვის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობისათვის იღვწით. ლექსთა კრებულებში („ხიბლი მიწისა“, „წითელი მზე და მწვანე მიწა“, „შუადღე და შუაღამე“, „დუმილი უშნოდ“, „ლექსები, პოემა“) შესულმა ბევრმა თქვენმა ნაწარმოებმა დამსახურებულად დაიმკვიდრა ადგილი საბამოელო პოეზიის ოქროს ფონდში.

საგრძნობი წვლილი შეიტანეთ თქვენ მხატვრული თარგმანის განვითარებაში — შეადგინეთ და ქართულ ენაზე თარგმნეთ „თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია,“ აგრეთვე ერთ-ერთი მთარგმნელი ბრძანდებით ფინური ეპოსისა „კალევალა“.

შემოქმედებითს შრომას თქვენ საუცხოოდ უხამებთ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალ შემოქმედებითს მიღწევებს გისურვებთ, ძვირფასო მუხრან ივანეს ძევ!

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნო; ქართული ლიტერატურის სექცია.

რწმენის, იმედის, ძახილის სიტყვა

ზოეზია გამომგონებლობა, ფრთაშესხმული საოცების აფრის გაშლა და ოცნება გახლავთ. პოეზია ნიადგან ახლის წვდომის ცდაა, ადამიანისათვის სიხარულისა და სიამის მინიჭებაა, ცაში აჭრა და ნავარდია. იგი დაუოკებელი აღმფრენაა, მშვენიერების მოსაპოვებლად სისხლისა და ხორცის გაწირვა და ჭეშმარიტების დაუსრულებელი ძიებაა. პოეზია დაუმცხრალ ენბათა ჭიდილია, დამცხრალი გრძნობების გამო სინანულია და რარიგ მტანჯველი გრძნობების ამშლელი და გამომწვევიც უნდა იყოს იგი, მაინც საკმეველივით სასიამოვნო ნელსურნელებით წვა, დაფერფლვა და ჩანავლაა.

სწორედ ამდაგვარი პოეზიის მსახურსა და ქურუმზე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა.

ყოველი თაობის ყველაზე დიდი ქმნილება ისევ და ისევ ადამიანია. ყოველი თაობა წარმოშობს თავის ბელადებსა და წინამძღოლებს. ზოგიერთი მათგანი თაობის აღიარებულ წინამძღოლად იქცევა ხოლმე, მაგრამ ბელადობა მაინც არ უწერია. ზოგის ბელადობა კი არავის არ ეეჭვება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ისინი თითქოს ჩრდილში რჩებიან. ვიდრე მუხრან მაჭავარიანი თავისი შემოქმედებით, გახმაურებულ, აღიარებულ თუ ჩრდილში მდგომ პოეტთა წინამძღოლად იქცეოდა, იგი პიროვნულად თვითონ იყო პოეტურ ბელადად ზომწიფებული და მაინც ჩრდილში დარჩა.

თუ ყურად ვიღებთ იმ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ პოეტები მუდამ გარკვეული გარემოსა და გარკვეული ხალხის მისწრაფებებისა და სულისკვეთების გამომხატველნი არიან, მაშინ ისიც უნდა ვირწმუნოთ, რომ მათი შემოქმედება ეკუთვნის და ემსახურება მთელ კაცობრიობას, მაგრამ პოეტები მაინც თავიანთი ერისა და გარემოს გამომხატველნი და ამსახველნი არიან. ერთ ფრანგ პოეტს უთქვამს: „ყველა დროის პოეტთა ამოცანა იყო საკუთარ თვისტომთა ენა უფრო მკაფიო, გარკვეული და გასაგები გაეხადათო“. ქართველმა პოეტებმა საუკუნეთა მრუმე სიღრმეებში გამოატარეს ენა ქართული, რადგან, იოანე ზოსიმესი არ იყოს, „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს...“.

ქართველი ხალხი და ქართველი პოეტები ათასგვარ ძნელებობასა და მსახვრალი დრო-ჟამის უწყალოდ გმირვას გაბედულად აღუდგნენ წინ, ივაჟკაცეს და შეინარჩუნეს დედაენა. მათი ქარგი ყანა (ენა ქართული) ათასგვარი სარეველათი იყო აღვსებული დამპყრობთა მიერ. იგი წარყვნილი იყო იმდენად, რომ თვითონ გვირგვინოსანი პოეტი მეფეც კი, ვინც ქართველ ხალხს მეთაურობდა, ამ ენაზე მეტყველებდა და წერდა, სწუნობდა ქართულს, ძძიმეაო ენა ქართველთა, აცხადებდა, სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანო, დასცდენია და უთქვამს უსწოროდ. ჩვენი ავი მეზობლების — სპარსთა და თურქთა ხან მძლავრობის, ხან დაყვავების, მოფერების, ლიქნისა და ლაქუცის პოლიტიკამ შექმნა ქართული ენის გადაშენებისა და ამოძირკვის საფრთხე. ერთმა პოეტმა თქვა მოხდენილად: ვინც იმ საშინელ დროს ლექსებს წერდა, ერთი მხრივ, იმას ამტკიცებდა, რომ ქართველ ხალხში კვლავ იყო შემართებული აზრნი და ფიქრნი, მეორე მხრივ, ერის სიმტკიცეს ედგა ბურჯად და სამშობლოსათვის თევდრესა და ამბოს ნეკრესელზე ნაკლებ როდი ირჯებოდა, მესამეც, სამშობლოს საკურთხეველზე მათ ბიძინა, შალვა და ელიზბარის დარად საკუთარი სისხლი და ხორცი მიჰქონდათო ზვარაკად.

სწორედ ამდაგვარ პოეტთა გვარ-გუჯრების მოდგმისა და ჯილაგისა გახლავთ მუხრან მაჭავარიანი. წინაპართა კარგი ტრადიციებ ი ს გამგრძელებელი, წარმოსა ა დ ეგი, ომახიანი ხმის, თვალშისაცემი გარეგნობის, „ბილენფოტა, რაინდული სულის კაცი. იგი შემმართებელიც არის და ზრდილიც, იმერთა მოდგმისათვის დამახასიათებელი, შინაგანი, დახვეწილი კულტურით აღსავსე. ამაყიც გახლავთ და თვინიერიც. უშრეტი, მჩქეფარე ენერგიის პატრონია. მუდამ შთაგონებული სახე და გამომეტყველება აქვს. მორცხვი და მოკრძალებულია. ადამიანისას მშვიდია, თავს მიწყივ გულარხეინად გრძნობს. ზედმიწევნით ზუსტი მეხსიერებით გამოირჩევა. მშვენივრად მეტყველია. ლაპარაკისას სიტყვას ერთ ბგერას არ დააკლებს. კარგი ხელი აქვს, ასოები ნახატივით გამოსაყავს, თვალი კარგად უჭრის, არც სმენა ღალატობს. კარგი სამეგობრო, დაღვინებული ვაჟკაცია. ნაკლია აქვს, სიმღერა და ცეკვა არ იცის, მუსიკა უყვარს, განსაკუთრებით ქართული საგალობლები. ღალანი ფუტკარივით ნაყოფიერი მუშაა.

„პოეტი, უპირველეს ყოვლისა, მოვალეა იმ ხალხისა, ვისი ენითაც მეტყველებს“, — უთქვამს გიიომ აპოლინერს. ჰოდა, მუხრან მაჭავარიანსაც უყვარს თავისი ქვეყანა და ხალხი. პოეტი ცდილობს თავის შემოქმედებაში უკვდავყოს ის ქვეყანა, მხარე და ის ადამიანები, ვინც იგი წარმოშვა. უმღეროს იმ ქვეყნის დიდებას, წარსულს, აწმყოსა და მყოფადს, ვინც მას აკვანი ურწია, ვინც მისთვის სისხლი და ხორცი არ დაიშურა, თავისი მეობა მისცა და დაუსაკუთრა, ჯანი და ღონე არ დააკლო, თავანკარა წყაროს სიწმინდე დაანათლა და მშვენიერებასთან წილნაყარი გახადა.

„ჩვენი ლამაზი საქართველო, უკვდავი სიტყვა, თავისი მწვანე ბალახით და წითელი მზითა“, — აი მუხრან მაჭავარიანის საესავი, ხატი და სკული.

ჩვენში წინათ ერთად ყოფილა გაერთიანებული მამულისა და ქრისტეს ცხენა. ალბათ მამულის გამო უყვარდათ უპირატესად ჩვენს წინაპრებს სკული. ახლა კი არარსებული ღმერთისათვის ვისღა სცალია. სალოცავი და საესავი მამული, ქვეყანა, მშრომელი და გამრჯე ხალხია.

მუხრან მაჭავარიანს სათქმელის დინჯად, დარბაისლურად თქმა უყვარს და ეხერხება. თუ აუცილებლობა მოითხოვს, მკვირცხლად, ცქაფად თქმაც ძალუძს. ამ დროს დამუხტული სტრიქონს იდუმალ ხსნის, სიტყვას უცებ მოიქნევს, დაატრიალებს და მოსალოდნელი დრამის მოლოდინში აგზნებული მკითხველის განწყობილებას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ქართულ სიტყვას სიყვარულით, თაყვანით, კრძალვითა და რიდით ეკიდება. სიტყვა ფასდაუდებელ საგანძურად მიაჩნია. მის მოსაპოვებლად მარგალიტის მაძიებელივით ღრმად ყვინთავს ჩვენს ფოლიანტებში, სიგელ-გუჯრებში, გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ ლიტერატურულ ძეგლებში. ნიადაგ ფხიზლობს არაფერი დარჩეს შეუმჩნეველი, ყოველივე სამზერს შიგნით მოაქციოს, გონების ქურაში გაატაროს, თვალი ყველაფერს გულამდე გაუბნიოს, აწონ-დაწონოს და სამზეოზე ისე გამოიტანოს.

მუხრან მაჭავარიანს უაღრესად დიდი რწმენა აქვს სიტყვისა. მან იცის ჭეშმარიტი, ალალი, გაბედული სიტყვის ფასი. პოეტს გაბედული სიტყვით ასხია ფრთები და სჯერა, რომ „ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას გაბედულს“.

თუ მუხრანმა ჩაფიქრებული საქმე კარგად გამოაგო, მიზანს მიაღწია, საწადელს ეწია, ნატვრა აიხდინა, რაც სურდა, იმას დაეუფლა და გაიმარჯვა, მიღწეული მის არსებაში სიმშვენიერის გაუფასურებას არ იწვევს. ერთი სიტყვით, მას შეუძლია ბედნიერებისაკენ დაუსრულებელი ლტოლვა ისე, რომ ეს ყოველივე უბედურების წყაროდ არ იგულვოს.

მუხრანს შემოქმედისაგან მიმადლებული აქვს დისციპლინა გონებისა, რომელსაც იგი თავის ცხოვრებასა და შემოქმედებას განუხრელად უქვემდებარებს.

მუხრანს სწამს და სჯერა, რომ სოციალურ ქარტეხილებს მცირერიცხოვან ხალხთათვის თან მოაქვს უდიდესი ბედნიერება. მას სწამს და სჯერა, რომ ლიტერატურას ეროვნული ღობეები არასოდეს შემოერღვევა, რადგან დიდ სოციალურ გარდაქმნებს ეროვნული ზღუდეების მოშლა სრულიადაც არ აქვს მიზნად. პირიქით, ერთმა სვლასთან ერთად ყველა ლიტერატურის მამულთან კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება და გამყარდება. სინამდვილის გამოსახვის ფორმები მუდამ მრავალფეროვანი უნდა იყოს და ვისაც სინამდვილის გამოსახვის ფორმათა მრავალფეროვნება და მრავალწახნაგიანობა სწადია, იმან აუცილებლად მხარი უნდა დაუჭიროს ეროვნულ და ეთნიკურ განსხვავებებს, რამეთუ ასეთი განსხვავებანი ბადებს და ბობს შინაარსით სოციალისტურსა და ფორმით ეროვნულ ლიტერატურებს.

მუხრან მაჭავარიანმა კარგად უწყის იმ შინაგანი, იდუმალი ბათოსის, რომლის და ცეცხლის ძალა, რომელიც მას თავისთვის აქვს გადამალული საკუთარ პოეტურ არსენალში.

ამდაგვარი იდუმალი ხმების გამეღავნება ნიკოლოზ ბარათაშვილმა ზეკასა და ვარსკვლავებს აღუთქვა: „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა ვამეცნო გულისა მე საიდუმლო“, — წერდა იგი.

მუხრანი ჩაკირკიტებული მკვლევარი და სიძველეთა მჩხრეკელია ჩვენთა სიძველეთა. დღევანდელობის, ჩვენი ეთნოსის, ჩვენი ყოფის ისეთი ჩაძიებული მკვლევარი და მცოდნე, როგორც მუხრანია, მწერლობაში კი არა, ალბათ მეცნიერებაშიც ცოტა თუ მოიძებნება. იგი იმ თავისი ცოდნით არც იკვეხნის და არც მისი შიშველი დემონსტრირებით არის დაინტერესებული.

შრომისა და გარჯის ყადრი იცის, უქმად წამსაც არ ხარჯავს.

მუხრან მაჭავარიანის ერთ დიდ დამსახურებად ისიც მიმაჩნია, რომ, იგი მკითხველს შემოქმედებითი მარტვილობისათვის წვრთნის.

მისი ლექსების კითხვისას, ღამის ცივ ჩრდილთან არის ჩაეტი თუ თაკარა მზის ქვეშ, სიმარტოვის განცდა გეუფლებათ და ეს ანარეკლი უნდა იყოს პოეტის სიმარტოვისა, თუმცა საერთოდ შემოქმედება ხომ სიმარტოვის გამოსახვაა.

მუხრან მაჭავარიანის ნაოვერდალეთით მწველი სტრიქონები აღმაზნები და გადამდებია. ალბათ, როცა წერს, სტრიქონთაგან ნაუური მოხშირებული მაჯისცემა თვითონვე ესმის.

მაინც, რა ხიბლავს აგრერიგად მკითხველს მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში?

პირველ ყოვლისა, დიდი სულიერი სამყაროო.

ხელოვნურობის, პოზიორობის და მანევრულობისგან თავისუფალი ლექსი.

სათქმელის გამძაფრებული გამომსახველობითი ძალა.

საჩინოყოფა პოეტური ხილვისა.

ამაღლებულის ნათლად, უბრალოდ თქმის ნიჭი.

სილაღე სათქმელისა.

ძლიერი ლირიკული ხასიათი.

ფიქრთა დაურვება.

თავისთავადი პოეტური ტალანტი.

თავისი ინტიმური სამყაროს ჩვენებით არ ცდილა მუხრან მაჭავარიანი ყურადღება მიექცია. პირადულსა და კერძოობითს მის ლექსებში ამაოდ დაუწყებთ ძებნას. ყველაფერი, თითქმის ყველაფერი მის შემოქმედებაში განზოგადებული, საქვეყნო, სახალხო და ზოგადსაკაცობრიო გახლავთ.

მუხრან მაჭავარიანს დიდი, უხვი და შთაგონებული სულიერი სამყაროო აქვს. უხვი ახსნილსა დაბამსო, — ბრძანებდა შოთა. დიახ, პოეზიაში მუხრან მაჭავარიანი უხვია და ხელგაშლილი, უშურველი და აღმფრენით აღსავსე.

მართალია ისიც, რომ მუხრან მაჭავარიანის ლექსებში სიხარულს, ხალისს, აღტყინებასა და აღმაფრენას მწუხარე ინტონაცია სჭარბობს. მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებიდან გამოსჭვივის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოწყენილობა და პირქუში სევდა. სწორედ მისი ლექსებიდან ხან იდუმალ ნაჟონმა და ხან ჯიქურ, ბოღელვით მიმდინარე სევდამ გაადნელა და გაართულა შემდგომში მისი შემოქმედების მართებული ანალიზი და გაგება.

იმ ოცმა წელმა კი, ჩვენ რომ გამოვვლეთ, ყოველი ადამიანის სულში დატოვა დანაშრევი, კვალი და ღრმა დაღმა. იმ საუბარ საქმეთა გამოსასწორებლად ახლა ხელჩართული ბრძოლაა გამართული, მაგრამ დათესილი სარეველას ამოძირკვა იოლი რამ არ გახლავთ. იმ პერიოდში ბევრი გაიდრიკა წელში და ბევრმა დაიცვითა მუხლისთავები. იმ ოცი წლის მანძილზე მუხრან მაჭავარიანის ზნეობრივი სიმამაცე სხვათაგან აშკარად გამორჩეული გახლდათ, რასაც დღეს ქილიკი კი არა, აღიარება და დაფასება უნდა. მუხრანის მაშინდელი საქციელი გახლდათ ჭეშმარიტი შემოქმედის მიერ დიდი სიმართლის წინაშე მუხლმოყრა და იმ სიმართლის წმიდა მოწამეობით თაყვანისცემა.

მუხრან მაჭავარიანი საზოგადოებრივი ღვაწლთაც ხელგამშვენებულია. ბოლო თორმეტი წელია იგი ხელმძღვანელობს ნორჩების საყვარელ ჟურნალ „დილას“, რომელიც ბავშვობიდანვე უნერგავს პატარებს სიკეთეს, ჰუმანიზმს, პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, და საერთოდ, მუდამ აქტიურად მონაწილეობდა ყოველგვარ საზოგადოებრივ-საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელიც კი ჩვენი კულტურის განვითარება-გაღონიერებას ისახავდა მიზნად.

ამ ოცდაათი წლის წინათ ერთმა ცნობილმა პოეტმა, მწერალთა კავშირის კლუბში მუხრანის გამოსვლა რომ მოისმინა, თქვა: „მუხრანის ლექსი მუხრანის ხმის გარეშე ვერ წარმომიდგენიაო“. ამის პასუხად ახლა შეგვიძლია თავისუფლად განვაცხადოთ: მართალია, მუხრან მაჭავარიანი საკუთარ ლექსებს უზადოდ, დიდი ხელოვნებით კითხულობს, მაგრამ საჯაროდ ძალზე იშვიათად გამოდის. ასე რომ, მუხრანის ლექსებმა ხალხის გულის გასაღები მუხრანის ხმისა და ინტონაციის გარეშე იპოვა და იმ გულებში ჩაწერაც უმუხრანოდ მოხდა.

მუხრანის პოეზია ეძიებს და აერთიანებს განდობილთ, სასოებითაა აღვსილი, ცდილობს მრუდსა და მართალს თავისი მიაგოს, მოუწოდოს, ეძახის, უყვავის, უხმობს...

ესმის რა ამდაგვარ პოეტთა მედგარი ხმა, გაოცებული მსმენელი კვლავ ფიქრობს, რომ არ გადაშენებულა ქართული სული, კვლავ ცოცხალია ერთი ძირძველი ერი, და კეთილშობილი, საამო, სანეტარო ხმა ქართული სიტყვისა და ლექსისა კვლავ გაისმის...

ელგუჯა მაღრაძე.



ვლ. გინზბურგის ფოტო.

მარტო იმიტომ

სიტყვებს, —
წინაპართ მიერ გაკეთდნილთ, —
დიდი რუსთველის უოლეში ნაბამთ, —
შობილთ
ერთ-ერთ
ბელადი
ბელადი,
კლარაჯეთით, —
ბელადი,
კახეთით, —
ერთად შეკრიბა რომელნიც საბამ;
ვეალერსები, ვითარცა ყვავილთ,
სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე
ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა.



ლაზათი ქართული პოეზიისა

უთქვამთ, მწერლობის საიდუმლოება სულის მარადიულ მუსიკაშიაო.

ეს შესანიშნავი სიტყვები ასგზის უფრო შეეფერება პოეტად დაბადებულს. მუხრან მაჭავარიანი ასეთად არის დაბადებული.

ჩინებულად ზრდილი და დარდიმანდი კაცი, ვისაც დაბადების 50 წელს ვუსოცავთ, თავისი პიროვნების შესაფერ, შესანიშნავი ყოფაქცევის ლექსებს ჰქმნის, რადგან — ასე გასინჯეთ! — ავტორებივით ცუდი ყოფაქცევის ლექსებიც არსებობენ!

და კიდევ არსებობს ეპითეტები, რომლებიც ჭეშმარიტ პოეტს არასოდეს არ შეეფერება. მაგალითად, არ შეიძლება ითქვას „საშიში ბარათაშვილი“, „საშიში გალაკტიონი“ ან „საშიში ბლოკი“ (საშიში — სვავი ან ძერაა, პოეტს კი ბულბულად თვლიდა აკაკი წერეთელი). არც ვერავი თუ ჩასაფრებული შეიძლება იყოს პოეტი, ან ყველა დროის ბენკენდორფთა მეგობარი და მეტრაპეზე „მუხთალი მოცარტი“ ხომ მთლად წარმოუდგენელია.

ვინც ღვთაებრივ შაირთა მთქმელად მოვლენია სამშობლოს, იგი ყველა ზამბახისა თუ სხვა ჯილდოს ღირსია.

რამეთუ ლექსი ისევე უხდება პოეტის მარჯვენას, როგორც ბაზიერთუხუცესს — მიმინო, მეომარს — ხმალი და კარმენს — მარაოს რხევა.

მუხრან მაჭავარიანის ლექსი მთელს თანამედროვე ქართულ პოეზიას ამშვენებს.

ვერც ერთ მის სტრიქონს ვერ შეიტანთ სხვა პოეტის ლექსში ან სხვისას — მისაში. იმიტომ კი არა, რომ იგი ძალზე ორიგინალურია (კარგი სტილი საერთოდ ბანალური და ორიგინალური თქმის ზღვარზე ივარაუდებს!), არამედ დისციპლინირებული გრძნობიერებისა და ირონიით შეფერილი სალექსო ფორმის წყალობით. ეს ფორმა კარგად იხამებს არქაულ სიტყვებს და შეგნებულ განმეორებებს, როცა, მაგალითად, „რომელმაც“ სიტყვა ფრაზის უბრალო აქსესუარის ჩარჩოებიდან არის დაძრული და პოეტურ წინადადებას თითქოს „უდარდელად“ შეათამაშებს ხოლმე.

ვინ იცის, მუხრან მაჭავარიანის შორეული წინაპრები ეგებ ასე დარდიმანდულად უტლაშუნებდნენ მაორახს თავის ბედაურებს. მაგრამ მათი დღევანდელი ნაშიერი ლექსის ბედისწერით არის აყვანილი და მუხრან მაჭავარიანს კარგად მოეხენება საკუთარი სიტყვის ძალისა და ბედ-იღბლის ამბავი.

რაგინდ მინიმუმამ? შემცირდეს ჩვენი დღევანდელი საუკეთესო პოეტების რიცხვი, მუხრან მაჭავარიანი ერთი პირველთაგანი დარჩება ქართული პოეტური სიტყვის ლაზათად, იგი პასუხს აგებს მომავალ თაობათა წინაშე ამ სიტყვის პრესტიჟის გამო.

რადგან, ბუნებით მომადლებულ ნიჭთან ერთად, მუხრან მაჭავარიანი იშვიათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით არის აღჭურვილი.

აკაკი გაწერელია.

ჩვენი მუხრანი

მუხრან მაჭავარიანის ლექსი დღესავით ნათელია, ჭურვსა ჰგავს, უცდომლად გამიზნულს. რა შორს დგას მუხრანის პოეზია ეგრეთწოდებული „უსაგნო ლირიკისაგან“.

ომის შემდგომ ქართულ პოეზიაში ბევრს არაფერს მიუპყრია იმდენი ყურადღება, რამდენიც მუხრან მაჭავარიანის გამოსვლამ მიიპყრო. ანა კალანდაძის სახელთან ერთად მუხრან მაჭავარიანის სახელმა ახალი პერსპექტივები გაანათა. შტამპის ბატონობისა და აზრის სიღარიბის პირობებში, ამ ოცდაათი წლის წინათ, მუხრან მაჭავარიანი მოგვევლინა მოულოდნელი, მანამდე ჩვენთვის უცნობი, ერთი შეხედვით უჩვეულო ქართული ლექსით. უბოდიშობამდე მისული. გაბედულება, ოცი წლის ჭაბუკისთვის შეუფერებელი აზრის სიმძიმე და რკინისებური ლოგიკა მსჯელავდა ომთავითვე ამ პოეტურ ფორმულებს და ცალკეულ სახეებს. მუხრან მაჭავარიანი ანგრევდა ძველ რიტმულ კონსტრუქციებს, ქმნიდა ახალ ჰარმონიებს, აახლებდა დიდი ხნით მივიწყებულ თავისუფალ ლექსს. პოეზიის მაშინდელ კანონმდებელთათვის გამაღიზიანებელიც კი იყო კლასიკურ ლექსთან მისი მოურიდებელი დამოკიდებულება და ჭეშმარიტი პოეზიის ხარისხში საკვირველ სიმსუბუქით აყვანილი მისი კატეგორიული განცხადებანი.

„ამ ვიწრო ქუჩაში კომუნიზმი ვერ შემოტევა!“ — ხმამაღლა აცხადებს ოცი წლის მუხრან მაჭავარიანი. „კომუნიზმს შემოსვენა ვერც ეტლი, ვერც ურემი!“ — მოურიდებლად განმარტავს იგი მაშინ, როცა თმაშეკვერცხლილი, სოლიდური მგოსნები გაოოლებულად, ყურისძირში, ერთიანელის გაწვდენაზე წარმოგვიდგენენ აღთქმულ ქვეყანას. კი! სისხლმოჭარბებულსა და ომახიანს, მუხრან მაჭავარიანს მხნედ, გლობალურად უყვარს კაცობრიობა: „ოცნება ვრცელდება სინათლის სისწრაფით, მინდა არხებივით მკლავების გაშლა, ავრბივარ მთაზე და იქიდან ვიძახი: — ვაშა, სიცოცხლეო, ვაშა!“ სიახალგაზრდავის მეოხებით გზის დასაწყისში ომახიანი შეძახილი სჭარბობს: „ასე მგონია, ვაბიჯებ ჰაერს და ნელა-ნელა ავდივარ მაღლა“. აქ, ალბათ, უიტმენიც სჭვივის და ერთგვარად მაიაკოვსკიც.

და მაინც, ითმავითვე, გზის დასაწყისშივე, მშობელ ქვეყანას გამოარჩევს პოეტი: „ცად გაშლილო ჯეჯილო, ცავ — ჯეჯილად გაშლილო, ვერა, მე ვერ გავძღები საქართველოს ყურებით!“ იმთავითვე მშობლიური ქართული ყოფა, მშობელი ხალხის ჯვარცმული წარსული იპყრობს ჭაბუკის არსებას. ყველაფერი სხვა ნასწავლია და მხოლოდ სამშობლო ქვეყნის სიყვარულია გენით, ჯიშით, სისხლით კოდირებული. აქედან და ისევ აქედან მომდინარეობს წარსულის უპრეცედენტო ხორცშესხმა ყმაწვილურ ასაკში — შედევრები პირველსავე წიგნში სწორედ მშობლიური ისტორიის თემებზე: „ვახტანგ მეფის ნანადირევი“—იმერელი მარეკის კოლორიტული სახით, „მიდიის... მიდიის...“ — ცხენდაცხენ საუკუნეებში მიმავალი რუსთველის გიგანტური აჩრდილით, „მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა, ანუ იმერული ქალები“ — სამოციოდ სტრიქონში კონდენსირებული დავით კლდიაშვილის მთელი სამყაროთა... აქედანვე მომდინარეობს „საბა“ — თავიდათავი მშვენება ჩვენი უახლესი ქართული პოეზიისა.

არის ხელოვნებაში სიახლეები, რომელთაც უპირველ მოქალაქეობის მოპოვება და საზოგადოებისაგან დიდსულოვნად შეწყნარებული, ათის, თხუთმეტის, ოცი წლის მანძილზე სიახლეებად იწოდებიან. მაგრამ არის, აგრეთვე, იშვიათი სიახლეები, რომელთაც პირველი განცვიფრების მიუხედავად, ერი გათითავისებს, და, ბოლოს, მისით საზრდოობას ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცევს. საკვირველია, ასეთი ხელოვნების სიახლეზე სულ მალე აღარავინ ლაპარაკობს... ასეთი ბედი ეწია მუხრან მაჭავარიანის პოეზიას. თითქოს საუკუნეებში გვქონოდეს მუხრანის სიახლეები და თითქოს პირადად მუხრანს არ გაგვეკვიფრებინეთ მათით სულ რაღაც... ოცდაათი წლის წინათ.

დიახ, გრძელი ოცდაათი წელიწადია ჩავლილი „საბას“ გამოქვეყნებიდან, უკეთ — მუხრან მაჭავარიანის პირველი გამოსვლიდან მწერალთა კავშირის ტრიბუნაზე. დარბაზსა და სალონს შუა კიი ღია ოყო... უცნობი ახოვანი ჭაბუკი დარბაზში ლექსებს კითხულობდა. მწერლები სალონში ისხდნენ, ოღონდ კისრები წაეგრძელებინათ და მთელი არსებით დარბაზში იყურნენ. „ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შევიდა“... „ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება; ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე“... მძლავრი, ალტკინებული ხმა გამოდიოდა დარბაზიდან სალონში. „ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა, ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო, — თქვა და თითქოს კიდეც ინანა“. დარბაზში ტეკა არ იყო. სალონშიც ხალხი გვემატებოდა. „მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა (საბას ხმა როდი წაადგება კნაკვილს კატისას!) რაც შეტანა, ისევე ის გამოიტანა ინ სახელგანოქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ“... ლაპიდარული, მკაფიო სახეები უეანგავი ცივი იარაღის ელვარებას გამოსცემდნენ. ამასობაში საწყალმა საბამ სტამბოლის ბაზარზე ქართველი ტყვე ბიჭი გამოისყიდა და საქართველოსკენ გამოსწია: „ვით ეს ყმაწვილი — საქართ

მზის სამზარეულო

ანუ რაციონალური საკვებიდან ჯანმრთელობისაკენ და დღეგრძელობისაკენ

1. არცთუ სანუგეშო შესავალი
2. სიმსუქნე მანაია
3. რით და როგორ ვიკვებოთ
4. ბოსტნეული — კვების მუსიკა
5. ხორცი თუ ბოსტნეული? ბოსტნეული!
6. ვეგეტარიანობა თუ ბოსტნეულის დიეტა
7. კვების კულტურა საერთო კულტურისაგან განუყოფელია!

1.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის და დაჩქარებული ურბანიზაციის პირობებში განვითარებულ ქვეყნებში მოხდა დიდი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რის შედეგადაც მკვეთრად შეიცვალა ადამიანის ცხოვრებისა და შრომის პირობები: თითქმის ლიკვიდირებულია მძიმე ფიზიკური შრომა, უაღრესად გაფართოვდა გონებრივი შრომის გამოყენების სფერო, სწრაფად იზრდება ქალაქების მოსახლეობა, განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ტრანსპორტმა და ა. შ. ამის შედეგად მკვეთრად შემცირდა ჩვენს მიერ ფიზიკური ენერგიის ხარჯვა და გაიზარდა ფსიქიკურ-ნერვული ფაქტორის ზემოქმედება, სულ უფრო ჰუჰკიანდება გარემო, წარმოიშვა ახალი ავადმყოფობანი... ამავე დროს განვითარების მაღალ დონეს მიაღწია კვების მრეწველობის ყველა დარგმა, რომელთა პროდუქცია გამოირჩევა მაღალი კალორიულობით და ყუთიანობით (საკონდიტრო ნაწარმი, ხორცის, ცხიმის, რძის პროდუქტები და ა. შ.).

2.

ჩვენს მექანიზებულ სამყაროში ადამიანის ფიზიკური ენერგიის „დაზოგვა" და ზედმეტი სიმსუქნე თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი დიდი მანკია, რომლის უარყოფითი შედეგები სეიოზულ საფრთხეს უქმნის ჩვენს ჯანმრთელობას. ასეთ პირობებში სიმსუქნე საუკუნის პრობლემად იქცა, რის დასამტკიცებლადაც საკმარისია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის 30 პროცენტს აქვს ზედმეტი კილოგრამები. საგანგაშოა ის, ეარემბოიაც, რომ ეს მეტად არასასურველი ფენომენი ვრცელდება ბავშვებზეც და აწუხებთ ქალებს. გამონაკლისი არც ჩვენი რესპუბლიკაა, სადაც არცთუ იშვიათად შეხვდებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ზომაზე მეტად გასუქებულ კაცსა თუ ქალს.

არასწორი კვება — აი რა იწვევს ძირითადად სიმსუქნეს. რომლის პირველი სტადია ძველ ბერძნებში იწვევდა შერს, მეორე — სიცელს, ხოლო მესამე — თანაგრძნობას. თანამედროვე პირობებში ეს საკითხი მკვეთრად გამწვავდა და, როგორც მართებულად აღნიშნავს აკადემიკოსი ა. პოკროვსკი, ყოველგვარი სიმსუქნე ჩვენში მხოლოდ თანაგრძნობას უნდა იწვევდეს.

სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა, უწინარეს ყოვლისა, იმაზე ზრუნავს, რომ გემრიელი და ნოყიერი საჭმელი ჭამოს, რაც არღვევს საკვებ ნივთიერებათა მიღების მოხმარების ელემენტარულ ბალანსს.

სტატისტიკის ცნობით, ყოველი მესამე ადამიანი ისეთი ავადმყოფობის მსხვერპლი ხდება, რომელიც არასწორი კვებით არის გამოწვეული. კვების საკითხებს უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ჯერ კიდევ უძველესი დროის მეცნიერები. მედიცინის მამამ — ჰიპოკრატემ XXIII საუკუნის წინათ დაწერა წიგნი „დიეტეტიკა". ავიცენამ თავის წიგნში „საექიმო მეცნიერების კანონი" ზედმეტი წონა ადამიანის უპირველეს მტრად გამოაცხადა და ურჩევდა კვების სპეციალურ რეჟიმს, მასაჟს და ფიზიკურ ვარჯიშს. პრაქტიკულად დღეისათვის ზედმეტი წონის უარყოფითი გავლენა იმით გამოიხატება, რომ 40-50 წლის მსუქანი ადამიანები გულის უკმარისობით ორჯერ უფრო ხშირად იღუპებიან, ვიდრე ნორმალური წონის ამავე ასაკის ადამიანები. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ზედმეტი კილოგრამი წონა ერთი წლით ამცირებს ჩვენს სიცოცხლეს.

3.

დიეტეტიკოსები და ჰიგიენისტები თვლიან, რომ უნდა შეიზღუდოს ტკბილეულის, ცომეულის, ცხოველური წარმოშობის ცხიმების მოხმარება. ზედმეტი ხორცისა და სხვა ცხოველური პროდუქტების მიღება არასასურველ შედეგებს იწვევს. დღეისათვის უკვე არსებობს სარწმუნო მონაცემები, რომ ამ შემთხვევაში ადამიანის ორგანიზმი მეტად მგრძნობიარე ხდება ალერგიულ ავადმყოფობათა მიმართ, იზრდება ორგანიზმის საერთო რეაქტიულობა, მატულობს წნევა, ხდება თირკმელების ფუნქციის მოშლა და სხვ.

უეჭველია აგრეთვე კლიმატური პირობების გავლენა კვების ხასიათსა და სტრუქტურაზე. როგორც ამჟამად დადგინდა, ზაფხულში, სიცხეში, ხორცის ჭამა უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმის თერმორეგულაციურ მექანიზმებზე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: ხორცის ზშირი მოხმარება ნაწლავებში ლპობის პროცესებს აძლიერებს და ამის შედეგად წარმოშობილი საკმაოდ ძლიერი ტოქსინები ქრონიკულად წამლავენ ორგანიზმს. მეორე მხრივ, იგი ზედმეტად იტვირთება ცილების დაშლის პროდუქტებით, რომლებიც იწვევენ ჩვენს სხეულში ტუტე და მჟავე რეაქციათა თანაფარდობის დარღვევას, დაუჟანგავი ნივთიერებების და მარილების დაგროვებას სახსრებში და სხვა ორგანოებში. ამიტომ უკიდურესად იძაბება დეზინტოქსიკაციური და შლაკების გამომყოფი სისტემა, ეცემა სასიცოცხლო ტონუსი, იცვლება ფსიქიკა და თავს იჩენს ნაადრევი სიბერე.

ხორცის მოხმარების შემცირება აუცილებელია აგრეთვე სამკურნალო თვალსაზრისით, გულით, ათეროსკლეროზით, თირკმელებით, შაქრიანი დიაბეტით, კოლიტით, ფუნქციური ნევროზებით და სხვა სენით დაავადებისას. საერთოდ, ორმოცი წლის შემდეგ ჩვენი ულუფა ძირითადად უნდა შედგებოდეს მცენარეული და რძის პროდუქტებისაგან: დღეს კვების ჰიგიენა და მედიცინა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მაღალი წნევისა და მიოკარდის ინფარქტის განვითარების ძირითადი ფაქტორია არასწორი კვება, რაც გამოიხატება ცხოველური პროდუქტების და ტკბილეულის ჭარბი მოხმარებით, განსაკუთრებით კი არასაკმარისი ფიზიკური აქტიურობისა და ზედმეტი წონის ფონზე. ჯერ კიდევ ი. პავლოვი აღნიშნავდა: „ჩვენი თავშეუკავებლობით, უწესრიგობით, საკუთარი ორგანიზმის მიმართ უმსგავსო დამოკიდებულებით თვითონვე ვიმოკლებთ წუთისოფელს".

არცთუ ისე შორეულ წარსულში, ჩვენს წინაპრებს საკმაოდ ზომიერად და რაციონალურად ჰქონდათ მოწყობილი კვება. უდაოა, რომ ხანგრძლივი მარხვის დღეებს, რომელიც წელიწადში რამდენიმე თვეს შეადგენდა, მხოლოდ რელიგიური დანიშნულება არ ჰქონდა. პირიქით, მის ძირითად მიზანს და შინაარსს შეადგენდა სამეურნეო-ეკონომიკური და სამედიცინო ასპექტები. განა კვების ჰიგიენის და მედიცინის მოთხოვნები არ უდგეს საფუძვლად, რომ ახლანდელ სარტყელში მცხოვრებ ზოგიერთ ხალხს, რელიგია უკრძალავს ღორის ხორცის ჭამას?!

თუ ყოველივე ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის კვების სტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და სათანადო გაუმჯობესებას მოითხოვს. მაგალითად, 1978 წლის ფაქტიური მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, ჩვენ გაკილებით მეტი პურ-ფუნთუშეული, ნამცხვრები, კარაქი, შაქარი და ტკბილეული შევჭამეთ, ვიდრე საშუალოდ საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ. ამავე დროს ჩვენი ხალხის კვების ულუფაში ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის, მცენარეული ცხიმების, თევზის, რძის და რძემჟავა პროდუქტების მოხმარება ჩამორჩება საშუალო-საკავშირო მონაცემებს.

ცხოვრების თანამედროვე პირობებში ადამიანის საჭიროებაში მცენარეული სურსათის როლი მკვეთრად გაიზარდა, ვინაიდან შემცირდა ორგანიზმის კალორიული საკვებით მომარაგების საჭიროება და შესაბამისად ამაღლდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მნიშვნელობა, რომელთა მდიდარ წყაროს სწორედ ბოსტნეული და ხილი წარმოადგენს.

დღეს ადამიანის რაციონალური კვება წარმოუდგენელია მცენარეული პროდუქტების გარეშე. ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, საკვები მცენარეები (კულტურული და ველური) — ეს ზომ თვით ბუნების მიერ მზის სამზარეულოში მომზადებული საზრდოა, რომელიც, ქართული კულინარიული ხელოვნებით შეკმაზული და გაკეთილმობილებული, ეგზმარიტად ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის წყაროა.

4.

აკად. კ. ტიმირიაზევმა მცენარეულ საკვებს მზის სხივების კონსერვები უწოდა,

აკად. თ. ცერეტელიმ ხილსა და ბოსტნეულს — კვების მუსიკა და პოეზია.

პირველი საკვები, რომლითაც ადამიანი იკვებებოდა, გახლდათ მცენარეული პროდუქტები, ვინაიდან განვითარების თავდაპირველ სტადიაზე მას შეეძლო მხოლოდ იმის მოხმარება, რასაც ბუნება მზა სახით სთავაზობდა.

ისტორიული ქრონიკები გვამცნობენ, რომ ძველ საქართველოში ხალხი, ჩვეულებრივ, მარტივი და ძირითადად მცენარეული საკვებით საზრდოობდა. ქართველების საკვეყნოდ განთქმული დღეგრძელობა, თუ კვების პრინციპებიდან შეეხებავთ, — ეს ფენომენი, ჩვენის აზრით, გაპირობებული იყო სწორედ მზის სამზარეულოში დამზადებული მცენარეული პროდუქტების გამოყენებით, რომელსაც თან ერთვოდა რძის პროდუქტების მაღალხარისხოვანი და ფართო ასორტიმენტი. იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, XVII საუკუნეში კოლხეთის მოსახლეობის ყოველდღიურ საზრდოს წარმოადგენდა მრავალფეროვანი ბოსტნეული, რომელსაც მხოლოდ ნიგზით და სურნელოვანი სანელებლებით კაზმავდნენ: ლობიოს, სატაცურს, ეკალს, პრასას, კეტერა კომბოსტოს, ჭინჭარს ფართოდ იყენებდნენ მარხვის პერიოდში. ქალაქების შუამოგარენში და ყველა მოსახლის მამულში ცალკე იყო გამოყოფილი სპეციალური ბოსტნები, სადაც მოპყავდათ მრავალფეროვანი მწვანილეულობა.

ქართული კულინარული ხელოვნება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრებასთან, ზნე-ჩვეულებებთან, ბუნებრივ პირობებთან, ეკონომიკასთან და კულტურასთან.

ქართული ეროვნული კულინარია საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა მრავალ თაობის შეასნიშნავი კულინარების ნიჭით და შრომით, რომლებსაც ხელს უწყობდა საქართველოს გულუხვი ბუნება და მისი ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება. ქართული კულინარიის სიმდიდრე და მისი ფასი სწორედ მცენარეული პროდუქტების — სხვადასხვა ბოსტნეულის, საკვები და სურნელოვანი მცენარეებისაგან დამზადებული კერძების მრავალსახეობითა და გემოთი გამოიხატება.

მცენარეული საკვები იმითაც არის ძვირფასი, რომ იგი ადაგზნებს ნერწყვის, კუჭის, პანკრეასის და ღვიძლის ჯირკვლებს, რომელთა მიერ საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფის ინტენსიურობა დამოკიდებულია ბოსტნეულის სახეობაზე და კულინარულ დამუშავებაზე. ეს ფაქტი განაპირობებს ორგანიზმის მიერ არა მარტო ამ პროდუქტების, არამედ ცხოველური წარმოშობის საკვების შეთვისების დონის გადიდებას 20-25 პროცენტით.

5.

მაშასადამე, ხორცის პრობლემის დადებითად გადაწყვეტის, ანუ სრულფასოვანი ცილებით მომარაგების ერთ-ერთ რეზერვს წარმოადგენს ჩვენი კვების ულუფაში ცალკეული ნივთიერებების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები, მინერალური ნივთიერებები) სწორი თანაფარდობა, რაც განსაზღვრავს ჩვენი ორგანიზმის მიერ ამჟამად დეფიციტური ცხოველური წარმოშობის ცილების ეფექტიან გამოყენებას. მაგალითად, მცენარეული ზეთის გამოყენება იმითაც არის გამართლებული, რომ იგი იწვევს ხორცის, თევზის და რძის პროდუქტებში შემავალ ცილების ეკონომიურ და ეფექტურ მოხმარებას, რადგან ხელს უწყობს მათ უკეთეს ასიმილაციას და ადიდებს ორგანიზმიდან შარდთან ერთად უსარგებლო აზოტის გამოყოფას. ასეთივე ზემოქმედებას იხდენენ ბოსტნეულში შემცველი მინერალური ნივთიერებები — კალიუმის და მაგნიუმის მარილები, რომელთა ნაკლებობა ჩვენს კვების ულუფაში იწვევს ცხოველური ცილების „ცუდ შეთვისებას. დაბოლოს, უაღრესად დიდია ხილბოსტნეულში არსებული ვიტამინების ორგანიზმის ცილების სინთეზის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს ბოსტნეულის კიდევ ერთი კარგი თვისება: იგი აღლიერებს კუჭ-ნაწლავში საკვების გადაადგილებას, როგორც ფრანგები ამბობენ, მხალეულობა კუჭის კარგი ცოცხიაო.

ეჭვს არ იწვევს ბოსტნეულის და მწვანილის სამკურნალო ზემოქმედება ადამიანზე: მათ უძველესი დროიდან იყენებენ გულის, თირკმელების, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის, შაქრიანი დიაბეტის, სიმსუქნის, ნივთიერებათა ცვლის მოშლის და მრავალი სხვა ავადმყოფობის სამკურნალოდ. მეტად სასარგებლოა ბოსტნეული გულით დაავადებულ და საერთოდ ხანში შესულ ადამიანთა კვებისათვის.

ბოსტნეულს შორის ნიორს, სამკურნალო თვალსაზრისით, საპატიო ადგილი უჭირავს, რადგან იგი უძველესი დროიდან ცნობილი იყო ჯერ მარტო როგორც საკვები და საკმაზი პროდუქტი, არამედ თითქმის ყველა ხალხური წამლის აუცილებელი კომპონენტი. ამ თვალსაზრისით მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა — იგი ძლიერი ანტისეპტიკური საშუალებაა. ხანგრძლივი ოდითგანვე ცნობილია როგორც ინფექციური სენისაგან დამცველი საშუალება. მას იყენებენ ჰიპერტონიის ჰიპო — და ავიტამინოზის, ნაწლავების ატონიის, ზედა სასუნთქი გზების ანთების, ანგინის და სხვა ავადმყოფობათა დროს.

ხახვს მიაწერენ ათეროსკლეროზის საწინააღმდეგო მოქმედებას.

კომბოსტო უაღრესად საყურადღებო ბოსტნეულია: თუთმე, ყვავილოვანი კომბოსტო ვიტამინი „C" შემცველობით ორჯერ აღემატება ციტრუსეულს. კომბოსტოს წვენში აღმოჩენილია ვიტამინი „U" რომელიც კურნავს კუჭის წყლულს.

სტაფილო ძვირფასი საკვები და სამკურნალო ბოსტნეულია. იგი რძეს უმატებს მეძუძურ ქალს, მისი ნახარში იხმარება თირკმელების სამკურნალოდ, ხოლო წვენი რეკომენდებულია ინფარქტგადატანილ ადამიანებისათვის და მეტად სასარგებლოა ბავშვებისათვის.

ისპანახი მეტად მდიდარია ცილებით და ძველთაგანვე პოპულარული იყო საქართველოში. არაბები მას „ბოსტნეულის მეფედ" აღიარებდნენ. იგი ასევე მდიდარია კლოროფილითა და რკინით, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს სისხლის წარმოქმნაში.

ძველი ბერძნები და რომაელები დიდი პატივით ეპყრობოდნენ სატაცურს და ღვიძლისა და თირკმელების დაავადების წინააღმდეგ უებარ საშუალებად თვლიდნენ. ჩინურ მედიცინაში სატაცურის ფესვების ნახარშს იყენებენ როგორც შარდმდენ, მატონიზირებელ და სიცხის დამწევ საშუალებას, სისხლის მიმოქცეისა და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, რევმატიზმის, ნიკრისის, დიაბეტის, ფილტვების დაავადების, ყიდანჯხველის და სხვა ავადმყოფობათა დროს.

6.

ზედმეტი წონის და სიმსუქნის დროს მეტად სასარგებლოა ბოსტნეულის და ხილის დიეტა, რომელთა გამოყენება აგრეთვე მიზანშეწონილია პროფილაქტიკური მიზნითაც. მცენარეული საკვების ნაკლებობა იწვევს პირველ რიგში გულის დაავადებებს. ამ ასპექტში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვადასხვა ვიტამინები, რომლებიც რეგულარულად უნდა მივიღოთ ხილისა და ბოსტნეულის საშუალებით, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ უნარი მარაგის სახით დაგროვდნენ ჩვენს ორგანიზმში. ამ მხრივ განსაკუთრებით სასარგებლოა ახალი, ცოცხალი მწვანილი და უმი ბოსტნეული მრავალფეროვანი სალათების (ზეთით, არაჟნით, მაწონით) და მათგან ახლად დამზადებული წვენების სახით, როდესაც გამორიცხულია მათ შედგენილობაში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების — ვიტამინების, ფიტონციდების, მიზერალური მარილების დანაკარგები.

არცთუ ისე შორეულ წარსულში ვეგეტარიანელები მხოლოდ მცენარეული საკვებით იკვებებოდნენ. დღესაც კვების ამ სისტემას მრავალი მიმდევარი ჰყავს სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო ინდოეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი საერთოდ არ ჭამს ხორცს. თუმცა ვეგეტარიანობის საწინააღმდეგო არგუმენტაციაც არსებობს, მაგრამ ნაწილობრივი ვეგეტარიანობა მეცნიერების მიერ უარყოფილი არ არის და წარმატებით გამოიყენება კიდევ მედიცინაში ე. წ. განტვირთვის დღეების სახით.

ვფიქრობთ, რომ ცხოველური საკვების, კერძოდ, ხორცეულის პერიოდული გამორიცხვა ჩვენი კვების ულუფიდან და ვეგეტარიანული დღეების შემოღება როგორც საზოგადოებრივი კვების ქსელში, ისე ოჯახშიც, სამედიცინო და ჰიგიენური თვალსაზრისით მეტად გამართლებული ღონისძიება იქნება. სხვათაშორის, ეს პრაქტიკა დიდი ხანია. დანერგილია საბჭოთა არმიაში, სადაც კვირის ერთი დღე ვეგეტარიანულ დღედ არის გამოცხადებული და მენიუში მხოლოდ მცენარეული საჭმელი შედის. ჩვენს მასობრივ კვებაში აწ დავიწყებული მცენარეული ნედლეულისაგან დამზადებული მრავალფეროვანი მხალეულობის და ბოსტნეულის კერძების პოპულარიზაციის მიზნით, აგრეთვე ჩვენი ეროვნული კულინარიის აღორძინებისათვის საჭიროა თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში გაიხსნას ვეგეტარიანული რესტორანები, სადაც დამზადდება მრავალფეროვანი ქართული კერძები — მცენარეული ნედლეულისაგან, რომლითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი ბუნება და განძეულია ქართული სუფრა. ეს ღონისძიება უნიკალური ფენომენი იქნება მთელს საბჭოთა კავშირში და დარწმუნებული ვარ დიდ მოწონებას და პოპულარობას მოიპოვებს ფართო მასებში, თავიის ორიგინალობით, სიიაფით, მაღალი ხარისხის სასარგებლო და გემრიელი საკვებით. შესაძლოა ვეგეტარიანული რესტორანი მიუწვდომელ ოცნებად დარჩეს სხვა რესაუბლიკებისათვის, მაგრამ საქართველოში არსებობს ამის რეალური საფუძველი.

ვეგეტარიანული რესტორნის შენიშვნა უნდა შედიოდეს ქართული ეროვნული კერძები — მხალი (ეკალა, სატაცური, ჭინჭარი, პრასა, კეტერა, ისპანახი, კომბოსტო, წითელი ჭარხლის ფოთოლი, ნაკარქათამა, ბალმა, არაკელი, ღანძილი, ოქრომხალა, სვინტრი, ღოღო, თათაბო, ჩიტისთავა, დანდური და სხვ.) სხვადასხვაგვარად შეზავებული ნიგზით, ზეთით, კვაწარახით, ძმრით და ტყემლით, და სხვა ბოსტეულის კერძები, ჯერ მარტო კომბოსტოსაგან მზადდება სამოცი დასახელების სხვადასხვა კერძი. აქვე უნდ აიყოს ღომი, მჭადი, ნაირ-ნაირი ხაჭაპური, იმერული ყველი, სულგუნი, ნადუღი, ყაიმაღი, მწვანილი, მწვანე და ხმელი ლობიო, მოხარშული და შემწვარი სიმინდი და კიდევ მრავალი სხვა.

წლის მთელი დროის განმავლობაში ნედლეულით თანაბრად მომარაგებისათვის საჭიროა, რომ ეცავაშრომ, კვების მრეწველობის სამინისტრომ და სხვა უწყებებმა სეზონის პერიოდში დაამზადონ ზოგიერთი ბოსტნეულის კონსერვები ნახევარფაბრიკატების სახით, რომლებსაც შემდგომი კულინარული მიზნებისათვის გამოიყენებენ.

გეპატიჟებათ სოკოზე

რესტორნები „არაგვი" და „ერწანისი"

„მიწაზე ამოსული ხორცი" — გსმენიათ ალბათ ასეთი ხალხური ნათქვამი. ამას სოკოზე ამბობენ, და მართლაც, თავისი ჩინებული გემოთი და ყუთიანობით იგი არავითარ ხორცს არ ჩამოუვარდება, მით უმეტეს, თუ ოსტატი მზარეულის მიერ გემრიელად არის შეზავებული მწვანილ-საკაზმით.

ჩვენში სოკო მრავლად არის და მას ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავს, მაგრამ დღემდე, რატომღაც სოკოს კერძით ნებისმიერ-მეგობრის თუ ჩამოსული სტუმრის გამასპინძლება საკმაოდ იშვიათი იყო და დიდ პატივადაც ითვლებოდა, და ეს იმიტომ, რომ ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრივი კვების ქსელში ამ საქმისათვის სერიოზულად არავის მოეკიდა ხელი.

ამიერიდან ასეთი „დეფიციტური მასპინძლობა" თითოეულ თქვენგანს შეუძლია განსწოს. **ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ რესტორან „არაგვის" ერთ-ერთი ვრცელი — 120-კაციანი დარბაზი (უწინდელი „ეროვნული დარბაზი") და რესტორანი „ერწანისი" მთლიანად სოკოს მოყვარულთ დაუთმო.**

ახლა აქ თუ მობრძანდებით, ყოველდღიურ მენიუში ნახავთ სოკოს საფირმო კერძებს, რომელთა სახელწოდებებსაც ვერც ერთ კულინარიულ წიგნში ვერ ამოიკითხავთ: „ჩაქაფული", „ჩაშუშული", „მწყემსური", „ქართული სოკო", „მესხური სოკო", „კეცზე შემწვარი სოკო". მრავალფეროვანია ცივი საუზეც — სოკოს მწნილი, ნიგზიანი სოკო, სოკოს სალათა, სხვადასხვა ტექნოლოგიით დამზადებული მხალეული — ისპანახი, ეკალა, ღანძილი, დანდური. მომზმარებელს აქ შესთავაზებენ აგრეთვე კურდღლისა და იხვის კერძებს, სულ მალე კი ასორტიმენტს მწყერიც დაემატება.

უთუოდ კარგი, მისასალმებელი, საჭირო სიახლეა და მის დანერგვაში არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის ამ საქმის ენთუზიასტსა და გამოცდილ მესოკოეს ლევან ფანჯავიძეს მისი ინიციატივით ამ რამდენიმე წლის წინათ ბორჯომში გაიხსნა და დღეს დიდად პოპულარულია მთელ რაიონში (და არა მარტო რაიონში) „სოკოს დარბაზი".

სამოც წელს მიტანებულმა ბორჯომელმა კაცმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში რუსეთში რომ მუშაობდა, შეისწავლა სოკოს დამუშავებისა და საზამთროდ შენახვის ტექნოლოგია. აქვე გაანდეს მესოკოეთა სანუკვარი ოცნება — ჩასწავლომოდნენ სოკოს მთელი წლის მანძილზე ცოცხლად (და არა ჩირის სახით) შენახვის საიდუმლოებაა და დიდი ხნის ძიების შემდეგ მისი „ამოხსნა" ლ. ფანჯავიძეს ხვდა წილად.

მანვე შექმნა ზემოაღნიშნული სოკოს საფირმო კერძების რეცეპტურა და დამზადების ტექნოლოგია, რომლებიც მოიწონა და დაამტკიცა რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს კულინართა საბჭომ.

სოკოს ფანჯავიძისეულ „დიაგნოსტიკას" დღეს დაუფლებულია რესპუბლიკის სოფლების ბევრი მცხოვრები, რომლებიც აგროვებენ და კვალიფიციური შემოწმების შემდეგ, ლ. ფანჯავიძის უშუალო მეთვალყურეობით ამბარებენ ბორჯომის პირველადი დამუშავების საამქროს. თბილისში ახალგახსნილ „სოკოს კერძების დარბაზსა" და სპეციალიზებულ რესტორანში კერძებს ამზადებენ ამ საქმეში განსწავლულნი მზარეულები ო. ტომარაძე, კ. ნავოროზაშვილი, ტ. ფილიები, ა. ითაშვილი, ა. გელბახიანი და სხვები. მათ დაოსტატებაში დახმარებას უწევდა სოკოს კერძების დამზადების ჩინებული სპეციალისტი ბორჯომელი თ. ხეთაგური.

— რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დიდი დახმარებითა და მხარდაჭერით, უდავოდ, ჩინებული საქმე გაკეთდა, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ლ. ფანჯავიძემ, — ჩვენში სოკოსა და მხალეულის საკვებად გამოყენება ტრადიციულია და მისი გაფართოების კარგი პეოსპექტივები არსებობს. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოში სოკო აპრილიდან ნოემბრამდე შემოდის, მაშინ როცა, ვთქვათ, რუსეთში ეს სეზონი თვე-თვეზახევარს არ აღემატება.

ამჟამად რესტორნებში „არაგვსა" და „ერწანისში" კერძები ძირითადად სამნაირი სოკოსაგან მზადდება. ესენია „კალმახა სოკო", „მანჭკალა" და „მსუქანა". მათ ნუსხას მალე შეემატება აგრეთვე ძერანა, ქამა, წერეწო, ცხვარია, ქათმის ბარკალა და სხვ.

მაგრამ რაგინდ კარგი იყოს ჩანაფიქრი, მისი განხორციელებისათვის აუცილებელია სათანადო პირობები. ესეიგი არ იქნებოდა, რომ თბილისში შექმნილიყო სოკოს ორგანიზებული შესყიდვისა და პირველადი დამუშავების საამქრო.

მაშ ახლ, სოკოს „ამყარეს" დელიკატესის „ჩინი" და სუფრის „რიგითი ულუფა" გახადეს, მიპატიჟებას ფინჯან ჩაიზე, ყავასა თუ კათხა ლუდზე მიემატა კიდევ ერთი — მიპატიჟება სოკოზე.

პირველმა მომხმარებლებმა ეს მიწვევა უკვე მიიღეს და დიდად კმაყოფილიც არიან აქაური გემრიელი კერძებითა და მომსახურებით. მაშ აბა ესტუმრეთ რესტორან „არაგვის" სოკოს დარბაზსა და რესტორან „ერწანისს" და თვითონ დარწმუნდებით.

გ. სამსონაძე.

სურათებზე: რესტორან „არაგვის" სოკოს დარბაზის აბრა; მზარეული ო. დაუშვილი.

— ათი სოკო და ათი ისპანახი იმ სუფრამ მოგვართვათ!..

— ეჰ, არაგვის პირას იხვი ვერ მოვკალით, მაგრამ „არაგვში" წავიდეთ, იხვის ტოლმაზე გეპატიჟები.

გ. ფირცხალავას ნახატები.

ᲡᲐᲥᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲤᲠᲔ ᲥᲘᲔᲕᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓ ᲒᲐᲜᲓᲘᲜᲘ — ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲤᲣᲤᲣᲠᲗᲠᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲣᲡᲐᲛᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲒᲐᲛᲐᲯᲕᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ: „ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ"-„ᲜᲔᲤᲘᲗᲠᲘ" — 0:0, „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ"-ᲐᲡᲙ (ᲓᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ) — 3:0, „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)-„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲛᲘᲜᲡᲙᲘ) — 1:0, „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲙᲘᲔᲕᲘ)-„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — 1:1.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲜᲣᲬᲧᲕᲔᲢᲔᲚᲘ ᲗᲝᲯᲚᲘᲡᲐ, ᲙᲘᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲛᲦᲘᲡᲐᲕᲐᲗᲝᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲔᲡ. ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲙᲘᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲔᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲑᲚᲝᲜᲓᲘᲜᲐᲛ ᲨᲔᲫᲚᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲑᲐ (64-Ე ᲬᲣᲗᲝᲜ). 87-Ე ᲬᲣᲗᲘᲡ 11-ᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘᲗ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲡ ᲒᲣᲪᲐᲒᲘᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲘᲗᲐᲛᲐᲨᲘᲗ: — ᲒᲐᲑᲔᲚᲘᲐ, ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐ, ᲩᲘᲪᲐᲫᲔ, ᲮᲜᲘᲩᲐᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲣᲯᲘᲠᲘ, ᲓᲐᲠᲐᲡᲔᲚᲘᲐ, Მ. ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲔ, ᲩᲘᲠᲘᲫᲔ, ᲒᲣᲪᲐᲒᲘᲫᲔ, Გ. ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲔ (ᲩᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ), ᲨᲣᲜᲒᲔᲚᲘᲐ (ᲩᲘᲚᲔᲑᲐᲫᲔ).

ᲡᲐᲛᲘ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

	Მ.	Ფ.	Წ.	Ბ.	Ჯ.
„ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ"	3	0	0	8-1	6
„ᲤᲐᲮ